DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2025.29.14

XVI საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ამსახველი დოკუმენტები ესპანეთის ქალაქ სიმანკას არქივიდან

DOCUMENTS REFLECTING THE HISTORY OF GEORGIA IN THE SECOND HALF OF THE SIXTEENTH CENTURY FROM THE SIMANCAS ARCHIVE (SPAIN)

ოთარ ნიკოლეიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Otar Nikoleishvili
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

აბსტრაქტი

საქართველოს ისტორიის შესასწავლად ქართულ წერილობით დოკუმენტებთან ერთად უაღრესად მნიშვნელოვანია უცხოურ არქივებში დაცული წერილობითი მასალებიც. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა ის დოკუმენტები, რომელთაც ესპანეთის ქალაქ სიმანკას არქივში მიაკვლია ცნობილმა ესპანელმა მეცნიერმა ლუის ხილ ფერნანდესმა. მის მიერ აღმოჩენილი ეს მასალები, რომელთა დიდი ნაწილი ესპანურ ენაზეა დაწერილი, მცირე ნაწილი კი – ქართულ, ბერძნულ, ლათინურ, კასტილიურ და სომხურ ენებზე, მნიშვნელოვანი შენაძენია არა მარტო ქართული ისტორიოგრაფიისათვის, არამედ თურქეთის, სპარსეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიის შესასწავლადაც. აღნიშნული დოკუმენტები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ზემოხსენებულ ქვეყნებს შორის XV-XVII საუკუნეებში არსებულ დიპლომატიურ ურთიერთობებზე. საარქივო მასალების ორიგინალები და ქართულ ენაზე თარგმნილი ტექსტები ლუის ხილ ფერნანდესმა და ილია ტაბაღუამ 1993 წელს ცალკე წიგნად გამოსცეს მადრიდში. წინამდებარე ნაშრომში ხსენებულ პირველწყაროებზე დაყრდნობით გაანალიზებულია XVI საუკუნის II ნახევარში საქართველოში არსებული ვითარება იმ დროის საერთაშორისო ვითარებასთან მიმართებით.

სიმანკას არქივში აღმოჩენილი დოკუმენტები ახალი მასალებით ამდიდრებს და კიდევ უფრო მასშტაბურად წარმოაჩენს იმ ურთიერთობათა პერიპეტიებს, რითაც თურქეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის პროცესში იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული ქართლის მეფე სიმონ I (მეფობდა 1556-1569 და 1578-1600 წლებში) და სპარსეთის იმჟამინდელი ხელისუფალნი; აგრეთვე, წარმოდგენა გვექმნებს იმ დიდ მხარდაჭერაზე, რომელსაც თურქული აგრესიის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი სპარსულ-ქართული კოალიციის მიმართ იჩენდნენ იმხანად რომის პაპი და დასავლეთ ევროპის კათოლიკური ქვეყნები. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად სტატიაში დამოწმებულია სათანადო ადგილები მადრიდულ გამოცემაში დაბეჭდილი დოკუმენტებიდან.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ისტორია, უცხოური წყაროები, პოლიტიკური ურთიერთობები.

ABSTRACT

To study Georgia's past in depth, it is essential to consider not only Georgian written sources but also the rich body of materials preserved in foreign archival repositories. In this regard, the corpus of documents discovered in the archive of Simancas, Spain, by the noted Spanish scholar Luis Gil Fernández is of particular significance. The materials he brought to light—predominantly composed in Spanish, with a smaller portion in Georgian, Greek, Latin, Castilian, and Armenian—represent an important addition not only to Georgian historiography but also to the study of the histories of Turkey, Persia, and Western Europe. These documents shed valuable light on the diplomatic relations among the above-mentioned states during the fifteenth to seventeenth centuries. The archival originals, accompanied by their translations into Georgian, were published as a separate volume in Madrid in 1993 by Luis Gil Fernández and Ilia Tabaghua. The present study draws upon these primary sources and undertakes an analysis of the situation in Georgia during the latter half of the sixteenth century, placing it within the broader framework of contemporary international developments.

The documents discovered in the Simancas Archive introduce new material that substantially enriches and further broadens our understanding of the relations that linked King Simon I of Kartli (who reigned in 1556–1569 and 1578–1600) with the contemporaneous rulers of Persia in the context of their coordinated opposition to the Ottoman Empire. Furthermore, these records elucidate the substantial patronage afforded by the Roman pontiff and the Catholic polities of Western Europe to the Persian–Georgian coalition engaged in active resistance against Ottoman aggression. In support of these observations, the article cites the relevant excerpts from the documents reproduced in the Madrid edition.

Keywords: History of Georgia, Foreign sources, Political relations.

შესავალი

საქართველოს ისტორიის სიღრმისეულად შესასწავლად უაღრესად მნიშვნელოვანია შესაბამისი ეპოქების უცხოური პირველწყაროების მოძიება და გაანალიზება. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ის დოკუმენტები, რომელთაც ესპანეთის ქალაქ სიმანკას არქივში მიაკვლია ცნობილმა ესპანელმა მეცნიერმა ლუის ხილ ფერნანდესმა. მის მიერ აღმოჩენილი საარქივო მასალები, რომელთა დიდი ნაწილი ესპანურ ენაზეა დაწერილი, მცირე ნაწილი კი – ქართულ, ბერძნულ, ლათინურ, კასტილიურ და სომხურ ენებზე, უაღრესად მნიშვნელოვანი შენაძენია არა მარტო ქართული ისტორიოგრაფიისათვის, არამედ თურქეთის, სპარსეთისა და დასავლეთ ევროპის კათოლიკური ქვეყნების ისტორიის შესასწავლადაც. აღნიშნული დოკუმენტები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ზემოხსენებულ ქვეყნებს შორის XV-XVII საუკუნეებში არსებულ დიპლომატიურ ურთიერთობებზე. საარქივო მასალების ორიგინალები და ქართულ ენაზე თარგმნილი ტექსტები ლუის ხილ ფერნანდესმა და ილია ტაბაღუამ 1993 წელს ცალკე წიგნად გამოსცეს მადრიდში.

როგორც ცნობილია, საგარეო პოლიტიკური ინტერესების თანხვედრამ საქართველო და სპარსეთი თურქეთის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში იმხანად თანამოაზრე ქვეყნებად აქცია და ისინი გაერთიანებული ძალით დაუპირისპირდნენ ოსმალურ აგრესიას. ამ ბრძოლაში მათი აქტიური მხარდამჭერები მაშინ დასავლეთ ევროპის კათოლიკური ქვეყნებიც იყვნენ.

სიმანკას არქივში აღმოჩენილი დოკუმენტები ახალი მასალებით ამდიდრებს და კიდევ უფრო მასშტაბურად წარმოაჩენს იმ ურთიერთობათა პერიპეტიებს, რითაც თურქეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის პროცესში იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული ქართლის მეფე სიმონ I (მეფობდა 1556-1569 და 1578-1600 წლებში) და სპარსეთის იმჟამინდელი ხელისუფალნი. თურქეთის წინააღმდეგ სპარსეთისა და საქართველოს ერთობლივ ბრძოლასთან დაკავშირებული მოვლენები საკმაოდ დაწვრილებით არის ასახული როგორც ქართულ, ისე უცხოურ ისტორიულ წყაროებსა და იმჟამად გამოცემულ ნაშრომებში.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ფასეულია: ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქართლის ცხოვრება, IV, 1973), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქართლის ცხოვრება, II, 1959), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (ს. კაკაბაძის გამოცემა, წიგნი II, 1925), თედო ჟორდანიას „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“ (წიგნი II, 1897), ქ. შარაშიძის „სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები“ (1963), ტომაზო მინადოის „სპარსელებსა და თურქებს შორის წარმოებული ომის ისტორია“ (ვენეცია, 1588), ულუგ-ბეგ ბაიათის, ანუ დონ ხუან პერსიას „რელაციები“ (ვალიადოლიდი, 1604), ანტონიო დე გოვეას მიერ 1611 წელს ლისაბონში გამოცემული ნაშრომი, ჟ. ბუასარდოს „თურქეთის სულთანისა და სპარსეთის შაჰის ცხოვრება და სახე“ (ფრანკფურტი, 1581), ლეონარდ ჰოისტერის „ახალი ბედნიერი ამბავი. თურქების დიდი დამარცხების უტყუარი აღწერილობა“ (ნიურნბერგი, 1579) და სხვ.

გარდა ხსენებული ავტორებისა, სპარსეთ-თურქეთის საომარ ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობის საკითხს განსაკუთრებული

ყურადღება სხვა უცხოელი ისტორიკოსების ნაშრომებშიც აქვს მიქცეული. მაგალითად: ჟ. ჰამერი („ოტომანთა იმპერიის ისტორია დასაბამიდან დღემდე“, პარიზი, 1837), არაზელ თავრიზელი („ისტორია“, 1896), ისქანდერ-ბეგ თურქმენი, იგივე ისქანდერ მუნში („აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია“. წიგნის ის ნაწილი, რომელიც საქართველოს ეხება, ქართულად თარგმნა და გამოსცა ვლ. ფუთურიძემ 1969 წელს), ჰასან რუმლუ („ცნობები საქართველოს შესახებ“, თარგმნა და გამოსცა ვლ. ფუთურიძემ 1966 წელს), მუსტაფა სელიანიქი („ისტორია“, ნაშრომის ქართული ნაწილის კომენტარები გამოაქვეყნა გ. ფუთურიძემ თსუ-ს შრომების 91-ე ტომის აღმოსავლეთმცოდნეობის სერიის II წიგნში 1960 წელს), აბრამ ფეჩევი („ისტორია“, ქართულად თარგმნა და გამოსცა ს. ჯიქიამ 1964 წელს), ბ. ქუთუქ ოღლუ („ირან-ოსმალეთის პოლიტიკური ურთიერთობა 1578-1590 წლებში“, სტამბოლი, 1962) და სხვები.

როგორც ითქვა, სპარსეთ-თურქეთის 1578-1590 წლების ომში ქართლის მეფე სიმონ I-ის ხელმძღვანელობით ქართველთა მონაწილეობისა და შემდგომდროინდელი მოვლენების შესახებ არსებულ წერილობით წყაროებს ახალი მასალებით ავსებს 1993 წელს ქალაქ მადრიდში გამოცემული წიგნი, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით მანამდე თითქმის სრულიად უცნობი დოკუმენტებია გამოქვეყნებული. მათგან აქამდე მხოლოდ სამი მათგანი იყო გამოქვეყნებული ილია ტაბაღუას წიგნში „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში“ (ტაბაღუა 1984: 222-230). ეს დოკუმენტებია: სიმონ I-ის წერილები ესპანეთის მეფე ფილიპე II-სადმი (თარგმანი სომხურიდან და ბერძნულიდან) და რომის პაპის კლემენტ VIII-ის (1592-1605) პასუხი სიმონ მეფის წერილზე.

მადრიდულ გამოცემაში შეტანილი დოკუმენტები, მართალია, ჩვენთვის საინტერესეო მოვლენებთან დაკავშირებით პრინციპულად ახალსა და განსხვავებულს არაფერს შეიცავს, მაგრამ ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით მათი მნიშვნელობა მაინც დიდია. კერძოდ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ხსენებული დოკუმენტები კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმ დიდ მხარდაჭერაზე, რომელსაც თურქული აგრესიის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი სპარსულ-ქართული კოალიციის მიმართ იჩენდნენ იმხანად რომის პაპი და დასავლეთ ევროპის კათოლიკური ქვეყნები. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად ქვემოთ მოკლედ დავიმოწმებ სათანადო ადგილებს მადრიდულ გამოცემაში დაბეჭდილი დოკუმენტებიდან.

მეთოდები

წინამდებარე ნაშრომში უმთავრესად გამოყენებულია ისტორიციზმისა და კომპარატივიზმის მეთოდოლოგიური პრინციპები.

მსჯელობა / შედეგები

პირველი დოკუმენტი, რომელიც 1579 წლის 29 აპრილით თარიღდება, არის ესპანეთის მეფე ფილიპე II-ის (1556-1598) ელჩის ხუან დე იდეაკესის (Juan de Idiáquez – 1540-1614 – ო. ნ.) მიერ კონსტანტინოპოლიდან გაგზავნილი წერილი, რომლითაც ესპანეთის სამეფო კარს ატყობინებს, რომ „ქართველები გაერთიანდნენ სპარსელებთან თურქეთის წინააღმდეგ... მათ ჰყავთ ბევრი მძევალი, გააჩნიათ დიდი რწმენა; არის ქვეითი ჯარი, რომლის დახმარებითაც შაჰს იმედი აქვს, რომ გაიმარჯვებს“ (Fernandez... 1994: 310).

როგორც ცნობილია, XVI საუკუნის II ნახევარში საქართველო ერთ მთლიან სახელმწიფოს უკვე აღარ წარმოადგენდა და სამ სამეფოდ და რამდენიმე სამთავროდ იყო დაყოფილი. ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, იმ დროისათვის „ქართველთა ქვეყანაში იყო ოთხი მმართველი“ (Fernandez... 1994: 313). პროფ. ილია ტაბაღუას განმარტებით, აქ უნდა იგულისხმებოდნენ სამცხე-საათაბაგოს, იმერეთის, ქართლისა და კახეთის განმგებლები. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით მათი მდგომარეობა ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული იყო, თურქული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში მათი გაერთიანება გარკვეულ ეტაპზე მაინც მოხერხდა. მართალია, ამ თვალსაზრისით სიმონ I-ის მსგავსი აქტიურობა მათ მმართველებს იმხანად არ გამოუჩენიათ, მაგრამ გარკვეულ პერიოდში ისინი მაინც აშკარად დაუპირისპირდნენ თურქეთს.

ნათქვამის დასტურად აქ იმ წერილის ფრაგმენტს გავიხსენებთ, რომელიც 1579 წლის 9 ივლისს ესპანეთის ელჩს ხუან დე მარლიანს გაუგზავნია ანტონიო პერესისადმი. 1578 წელს თურქებმა მუსტაფა ფაშას ხელმძღვანელობით ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს ქალაქი შირვანი, მაგრამ სურსათის უკმარისობის გამო იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ იგი. ხუან დე მარლიანის ცნობით, პროდუქტების ნაკლებობას ის ფაქტი განაპირობებდა, რომ „მის შემოტანას ხელს უშლიდნენ ზემოხსენებული ქართველი მმართველები, თვლიდნენ, რომ მათ უკვე დაუშვეს შეცდომა, რომ მისცეს მუსტაფას ხსენებულ ქალაქში შესვლის საშუალება და ახლა ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მისი შემდგომი გადასვლისათვის“ (Fernandez... 1994: 313).

როგორც ვხედავთ, ქართველი მმართველები ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეერთებული ძალით დაუპირისპირდნენ თურქებს და აშკარად დაუჭირეს მხარი სპარსელებს. ამ მხარდაჭერამ თურქები აიძულა უკან დაეხიათ და ქალაქი შირვანი დაეტოვებიათ. შემდგომში თურქეთის ჯარებმა კვლავ მოინდომეს სპარსელების ტერიტორიაზე შეჭრა. მუსტაფა ფაშამ კარგად იცოდა, რომ ამ მიზნის მისაღწევად მხოლოდ ორი გზა არსებობდა: „ერთი მოკლე, მაგრამ მუსტაფასათვის უკვე ცნობილი თავისი სიძნელეებით და მეორე გზა ქართველთა მიწებზე გავლით, რაც უიმედო იყო, რადგან ამ მიწების ოთხი მმართველი უკვე გაერთიანებული იყო და წინააღმდეგობის გასაწევად საკმაო ძალა გააჩნდათ“ (Fernandez... 1994: 314).

ასეთ ვითარებაში თურქები ყველაზე მეტად გამართლებულად თვლიდნენ ქალაქ ყარსის გამაგრებას, „რაც იქნებოდა მეტად საზიანო სპარსელებისა და ქართველებისათვის. ამ უკანასკნელთ კი მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი თურქებისათვის წინააღმდეგობის გაწევა“ (Fernandez... 1994: 314).

სტატეგიული თვალსაზრისით, ყარსის ციხე-სიმაგრის როლს მადრიდულ დოკუმენტებში სხვაგანაც ესმება ხაზი. მაგალითად, 1579 წლის აგვისტოში ესპანეთის სამეფო კარისთვის გაგზავნილ მოხსენებაში ნათქვამია: „ყარსი მდებარეობს სამი პროვინციის ცენტრში, სამკუთხედის შუაში. აქ ერთი მხრივ – თურქების სამფლობელოა, მეორე მხრივ – ქართველების, ხოლო მესამე მხრივ – სპარსელების. ვინც ამ ადგილის ბატონი გახდება, მას შეუძლია მიბრუნდეს იმ მხარისაკენ, რომელსაც იგი მოისურვებს“ (Fernandez... 1994: 318).

სპარსეთ-თურქეთის ომში ქართველების გამოსვლა სპარსელთა მოკავშირის როლში, უპირველეს ყოვლისა, ორი ქვეყნის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ინტერესების იმჟამინდელი თანხვედრით იყო განპირობებული. მართალია, თურქეთის მსგავსად, ჩვენი ქვეყნის მიმართ სპარსეთსაც აშკარად გამოხატული დამპყრობლური მიზნები ამოძრავებდა, მაგრამ XVI საუკუნის II ნახევარში თავისი კოლონიური პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზების დროს თურქეთი გაცილებით მეტ აგრესიას იჩენდა, ვიდრე სპარსეთი. მისი დამპყრობლური პოლიტიკის არეალში ამ პერიოდისათვის არა მარტო საქართველო იყო მოქცეული, არამედ მთელი კავკასიაცა და სპარსეთიც, რაც უდიდეს საშიშროებას უქმნიდა როგორც ამ ქვეყნებს, ისე რუსეთსა და ევროპის სხვა სახელმწიფოებს.

უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს გარემოება გახდა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის საფუძველი. ზემოთ აღნიშნულ ვითარებას არაერთხელ ესმება ხაზი სიმანკას არქივში აღმოჩენილ დოკუმენტებში. მაგალითად, მუსტაფა ფაშას ხელმძღვანელობით თურქების მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციების შესახებ ესპანეთის სამეფო კარისთვის გაგზავნილ ერთ-ერთ მოხსენებაში ხაზგასმით არის აღნიშნული ის ფაქტი, რომ ქართველების „მეტი ნაწილი სპარსელების დიდი მეგობარია და მათი მხოლოდ მცირე ნაწილი უხდის ხარკს თურქებს“ (Fernandez... 1994: 318).

ამავე მოხსენებიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ სპარსეთის შაჰი, მიუხედავად ქართველებისადმი სიტყვიერად გამოხატული კეთილგანწყობილებისა, მათგან მისი ინტერესების უპირობო დაცვასაც მოითხოვს. მაგალითად, „სპარსეთის შაჰი საყვედურობდა ქართველ ლევან ბეის იმის გამო, რომ მან შესაძლებლობა მისცა მუსტაფას თავისი ჯარით გაევლო მისი ქვეყნის ტერიტორიაზე. ის კი თავის მხრივ არ ღებულობდა ამ საყვედურს და პასუხობდა, რომ მას არ შეეძლო მისთვის წინააღმდეგობა გაეწია, რამდენადაც სხვა ქართველმა მმართველებმა მას მხარი არ დაუჭირეს, ხოლო მარტო მას არ გააჩნდა საამისო ძალები, რომ წინააღმდეგობა გაეწია თურქეთის ჯარისათვის. მაგრამ დაჰპირდა სპარსეთის შაჰს, რომ მომავალში მისი დახმარებით თურქეთს გაუწევდა წინააღმდეგობას და არ გაატარებდა თავის ტერიტორიაზე“ (Fernandez... 1994: 317).

მიუხედავად იმისა, რომ დამოწმებულ დოკუმენტში მოხსენიებული ლევან ბეი შეცდომითაა დასახელებული და მუსტაფა ფაშას მიერ განხორციელებული ლაშქრობის დროს (1578) ასეთი მმართველი ჩვენი ქვეყნის არც ერთ რეგიონს არ ჰყავდა, იგი გარკვეულ ინფორმაციას მაინც მართებულად გვაწვდის იმ დამოკიდებულების შესახებ, რომელსაც სპარსეთის შაჰები იჩენდნენ იმხანად ჩვენი ქვეყნის მმართველების მიმართ.

სპარსეთისა და საქართველოს მოკავშირეობა თურქეთის წინააღმდგ მიმართულ საომარ ოპერაციებში თურქული მხარისათვის კარგად იყო ცნობილი. სწორედ ამის გამო არჩია სპარსეთში 1578 წელს საომრად მიმავალმა მუსტაფა ფაშამ სამჯერ უფრო გრძელი გზა გაევლო და საქართველოსთვის გვერდი აექცია. მან კარგად იცოდა, რომ სპარსეთის დასალაშქრად მიმავალ თურქთა ჯარს ქართველი მმართველები თავიანთ მიწებზე არ გაატარებდნენ.

ქართველებისა და სპარსელების ერთობლივი ბრძოლა თურქული აგრესიის წინააღმდეგ ეპიზოდური მოვლენა არ ყოფილა და ფაქტობრივად

სპარსეთ-თურქეთის 1578-1590 წლების ომის მთელ პერიოდში გაგრძელდა. კერძოდ, მუსტაფა ფაშას შემდეგ თურქეთის ჯარის ახალ წინამძღოლად დანიშნული სინან ფაშას მრავალრიცხოვანი ჯარის დამარცხება 1580 წელს სწორედ ქართველებისა და სპარსელების ერთობლივი ძალებით გახდა შესაძლებელი. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით ხუან მარლიანი კასტილიის უფროს წინამძღვარს 1580 წლის 18 და 20 სექტემბერს: „სინან ფაშას მთელი მოწინავე ნაწილები ქართველებმა და სპარსელებმა უკუაქციეს, მოკლეს რამდენიმე სამხედრო მეთაური, დიდი რაოდენობით ჯარისკაცი“ (Fernandez... 1994: 328).

როგორც საანალიზო დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, თურქულ და სპარსულ მხარეთა წარმომადგენლები მართებულად აფასებდნენ იმ დიდ როლს, რომლის შესრულებაც საქართველოს მათ საომარ კონფლიქტში მონაწილეობით შეეძლო. ამიტომაც ცდილობდნენ ისინი ჩვენი ქვეყნის მმართველთა გულის მოგებას და მათ სამსახურში ჩაყენებას. ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია, უპირველეს ყოვლისა, ქართლის მეფის – სიმონ I-ის პოზიციას ეკისრებოდა. მართალია, თურქეთ-სპარსეთის ომში სიმონი სპარსეთის აშკარად მხარდამჭერის როლში გამოდიოდა, მაგრამ თურქი ხელისუფალნი მაინც ეძებდნენ გზებს მისი გულის მოსაგებად და გადასაბირებლად.

სწორედ ასე მოიქცა ერზერუმის ფაშა 1583 წელს. მან სიმონ მეფეს პირობა მისცა, თუ სპარსეთის დასალაშქრად მიმავალ თურქულ ჯარს მის ტერიტორიაზე გავლის უფლებას მისცემდა, სამაგიეროდ მას მფარველობას გაუწევდა (Fernandez... 1994: 338).

პასუხად ერზერუმის ფაშას სიმონმა იმ ადგილების უკან დაბრუნება მოთხოვა, რაც თურქულ მხარეს საქართველოსგან ჰქონდა მიტაცებული. ერზერუმის ფაშას თქმით, „დიდი ბატონის“ (იგულისხმება თურქეთის სულთანი) ნებართვის გარეშე იგი მის ამ მოთხოვნას, მართალია, ვერ შეასრულებდა, მაგრამ იქვე დააიმედა, რომ ამის შესახებ მან უკვე გაუგზავნა სულთანს წერილობითი თხოვნა და დიდი იმედი აქვს თანხმობის მიღებისა.

ამის შემდეგ აღნიშნული მოლაპარაკების თაობაზე დამოწმებულ დოკუმენტში თუმცა ნათქვამი უკვე არაფერია, მაგრამ ამ მოლაპარაკებას დადებითი შედეგი რომ არ მოჰყოლია, ეს ხსენებული დოკუმენტიდანაც თვალნათლივ ჩანს. თურქებმა, მიუხედავად სიმონ მეფის უარისა, მაინც სცადეს ქართლის გავლით სპარსეთისაკენ წასვლა, მაგრამ ქართველებმა მათ ყველა რაზმს ალყა შემოარტყეს და „ორ საათზე ნაკლები დროის განმავლობაში დახოცეს რვა ათასზე მეტი თურქი... დაგვიანებით სიმონმა გასცა განკარგულება მიეცათ უკან დახევის ნიშანი და მისი ხალხი გამარჯვებით გასცილდა თურქებს მეტად მცირე რაოდენობითი დანაკარგით, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს უმნიშვნელოდ; ხოლო როდესაც თურქების მთავარი ნაწილი მდინარემდე მივიდა, სიმონი თავისი ძალებით კვლავ თავს დაესხა მათ ისეთი წარმატებით, რომ 60 ათასიდან თუ მეტიდან გაიარა მხოლოდ 3 ათასმა, დანარჩენი სიმონის ძალებმა დახოცეს, ან ტყვედ ჩაიგდეს, ან კიდევ წყალში დაიხრჩო. მოკლული იყო იმდენი, რომ სიმონი შეწუხდა და ბრძანა, მეტი არ მოეკლათ, არამედ ტყვედ აეყვანათ“ (Fernandez... 1994: 338).

ესპანურ დოკუმენტში მოთხრობილი ეს ამბავი სიმართლეს რომ შეესაბამება, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ 1583 წელს გამართული ხსენებული ბრძოლისა და მისი შემდგომდროინდელი მოვლენების შესახებ სხვა უცხოელი ავტორებიც მოგვითხრობენ ანალოგიური სიზუსტით (მინადოი, ბიცარო, ბუასარდო...).

თურქების წინააღმდეგ მოპოვებული ამ დიდი გამარჯვების ამბავი სიმონ მეფემ დაუყოვნებლივ შეატყობინა სპარსეთის შაჰს. დოკუმენტის ავტორის ინფორმაციით, თავისი ძლევამოსილების დასტურად მან „შაჰს გაუგზავნა დახოცილთა თავები შვიდი ტვირთის ოდენობით და ბევრი სხვა რამ და მოახსენეს, რომ ერზერუმის ფაშა სხვა მეთაურებთან ერთად, რომელთა საერთო რიცხვი დაახლოებით 3 ათასი იყო, ძლივს გაიქცნენ ბრძოლის ველიდან“ (Fernandez... 1994: 339).

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ ევროპის კათოლიკური ქვეყნების მესვეურები აშკარად შეშფოთებული იყვნენ თურქეთის აგრესიული დამპყრობლური პოლიტიკის გამო, ანტიოსმალურ საომარ ოპერაციებში მათ იმხანად რეალური მონაწილეობა ფაქტობრივად არ მიუღიათ და მხოლოდ დიპლომატიური საშუალებით იბრძოდნენ თურქეთის წინააღმდეგ. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამით უნდა აიხსნას მათი აქტიურობა სპარსეთისა და საქართველოს ანტიოსმალური სამხედრო კოალიციის შესანარჩუნებლად.

მაგალითად, კათოლიკური ქვეყნების ეს სურვილი გრაფ დე ოლივარესის მიერ ესპანეთის მეფე ფილიპე II-ისადმი 1588 წლის 5 თებერვალს გაგზავნილ წერილში ასეა გამოხატული: „მე ვფიქრობ შევეცადო, რათა პაპმა ხელი შეუწყოს მას (რომის პაპთან სიმონ მეფის მიერ დიპლომატიური მისიით გაგზავნილ პიროვნებას - ო. ნ.) უფრო, ვიდრე ეს შესაძლებელია და აღუთქვას იმედი დასავლეთის ქვეყნების მხრიდან, ქრისტიანი მმართველების ერთიანი ძალით მხარდაჭერაზე თურქეთის წინააღმდეგ. ამასთანავე, რათა მან (სიმონმა) განაგრძოს კავშირი სპარსეთის შაჰთან, როგორც ამას აქამდე აკეთებდა“ (Fernandez... 1994: 343).

საანალიზო დოკუმენტებში არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ დანაწევრებული საქართველოს მმართველებს შორის ერთსულოვნება არ სუფევდა, რის გამოც მათი პოლიტიკური ინტერესები ხშირად რადიკალურადაც კი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. კერძოდ, თუ სიმონ მეფე „უკვე 11-12 წელია, რაც შაჰის მხარეს მიეკუთვნებოდა, მის მითითებებს ასრულებდა, დანარჩენი ორი - დიდი ბატონის (ე. ი. თურქეთის სულთნის – ო. ნ.) მხარეზე იყვნენ“ (იქვე: 346). მართალია, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ისინი იმასაც შეეცადნენ, თანამოაზრეებად ქცეულიყვნენ და შეერთებული ძალებით დაპირისპირებოდნენ თურქეთს, რაც სპარსეთთან მათი მოკავშირეობისთვისაც ქმნიდა ხელსაყრელ საფუძველს, მაგრამ სპარსეთის შაჰის – ისმაილ II-ის (1576-1577) გარდაცვალებამ, რასაც შედეგად ამ ქვეყნის დასუსტება მოჰყვა, ქართველი მეფეების შეკავშირებასაც შეუშალა ხელი. გრაფ დე ოლივარესის მიერ 1588 წლის მარტში გაგზავნილი დოკუმენტის მიხედვით, სპარსეთის ახალი შაჰი მუჰამედ ხოდაბანდა (1578-1587), რომელიც „ორივე თვალით ბრმა და საქმეების ნაკლებად მცოდნე“ ადამიანი

იყო, სუსტი მმართველი გამოდგა, მაშინ, როცა „თურქები სულ უფრო ძლიერნი ხდებოდნენ“. ამ გარემოებამ არსებითად განაპირობა ის ფაქტი, რომ სიმონ მეფისგან განსხვავებით, ორი სხვა ქართველი მეფე (იგულისხმებიან კახეთის მეფე ალექსანდრე (1574-1605) და იმერეთის მეფე ლევანი (1583-1590) – ო. ნ.) მუდმივ კავშირში არიან სულთანთან“ (Fernandez... 1994: 343).

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, სიმონ მეფე მაინც ცდილობდა დასახული გზიდან არ გადაეხვია და კვლავაც აქტიურად ეცადა თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლ კოალიციაში სპარსეთთან ერთად კახეთიც და იმერეთიც გაეერთიანებინა. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით გრაფი დე ოლივარესი 1588 წლის მარტში შედგენილ დოკუმენტში: „თავის მხრივ იგი (სიმონ მეფე – ო. ნ.) შეეცდება გაერთიანდეს ალექსანდრესთან და ბაშიაჩუკთან – ორ სხვა ქართველ მეფესთან, თურქეთის სულთნის წინააღმდეგ და სამივეს, მისი სიტყვებით, შეუძლიათ შეკრიბონ ასი ათასი კაცი, სამხედრო საქმეში კარგად მომზადებულნი; ეს გარდა ქრისტიანების იმ დახმარებისა, რომელიც შესაძლოა მოვიდეს აღმოსავლეთიდან და მოხდება გაერთიანება სპარსელებთან და რომ გაიგზავნება მქადაგებლები, წმიდა კათოლიკურ რწმენაში მათი მოქცევის მიზნით.

საქართველოში დიპლომატიური მისიით წარმოგზავნილი უცხოელები მათ მიერ შედგენილ წერილობით დოკუმენტებში ხაზგასმით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ თუ ქართველები შეძლებდნენ და მოახერხებდნენ ერთად გაერთიანებას, მათ თავიანთ სამფლობელოებში არ შეეშინდებოდათ არც თურქებისა და არც სპარსელების, ერთად აღებულისა“ (Fernandez... 1994: 340).

სიმანკას არქივში აღმოჩენილი 81 დოკუმენტიდან სიმონ I-ის მეფობის დროინდელ საქართველოში არსებული მდგომარეობა ყველაზე უფრო ვრცლად და საფუძვლიანად ემისარ მარკო ანტონიო აბანიოს იმ წერილშია გაანალიზებული, რომელიც მას 1588 წელს გაუგზავნია ესპანეთის სამეფო კარისთვის. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტიდან ქვემოთ შევეცდები იმ ადგილებს მივაპყრო ყურადღება, რომლებშიც საქართველოსა და სპარსეთს შორის იმჟამად არსებული ვითარებაა დახასიათებული. მარკო ანტონიო აბანიოს ცნობით, საქართველოს იმჟამინდელ მეფეთაგან სიმონი „ყოველთვის სპარსეთის მხარეზე იმყოფებოდა, ხოლო ორი სხვა (იმერეთისა და კახეთის მეფეები – ო. ნ.) თურქეთის მხარეზე“ (Fernandez... 1994: 351).

ხსენებულ დოკუმენტში გარკვეულწილად ისიცაა განმარტებული, რამ განაპირობა სიმონის ამგვარი კეთილგანწყობა სპარსეთის მიმართ. კერძოდ, მარკო ანტონიო აბანიოს შეფასებით, „35 წლის სიმონის წარმატება დამოკიდებული იყო სპარსეთის შაჰ თამაზზე – სპარსეთის უკვე ხანში შესულ მეფეზე. შაჰი ცდილობდა, რათა სიმონის და ცოლად შეერთო – იშვიათი სილამაზით დაჯილდოვებული და კეთილშობილი ქალი, სახელად დოდუა. სიმონმა უარი უთხრა მას ამაზე რელიგიისადმი პატივისცემის გამო“ (Fernandez... 1994: 351).

ამ ამბით შეურაცხყოფილმა სპარსეთის შაჰმა „სიმონს ბევრჯერ მოუწყო პროვოკაციები მის საზღვრებზე“. ამ დროიდან მოყოლებული სიმონ მეფე 12 წლის განმავლობაში განაგრძობდა ბრძოლას სპარსეთის წინააღმდეგ,

რაც საბოლოოდ სპარსელების მიერ მისი დატყვევებითა და ქალაქ ყაზვინის ციხეში ჩასმით დასრულდა. ციხეში მასთან ერთად შაჰ თამაზის პირველი შვილი ისმაილიც იმყოფებოდა, რომელსაც სიმონი ძალზე დაუმეგობრდა. შაჰ თამაზის გარდაცვალების შემდეგ (1576) სპარსეთის შაჰი სწორედ იგი გახდა. მან არა მარტო ტყვეობიდან გაათავისუფლა სიმონი, არამედ ქართლის მეფედაც დაამტკიცა და „5 ათასი სპარსელი ჯარისკაცის თანხლებით პატივით გაგზავნა თავის სამშობლოში. წასვლის წინ ისმაილმა მას საზეიმოდ მიაცემინა პირობა, რომ იგი არასოდეს არ გამოიყენებდა თავის იარაღს სპარსეთის გვირგვინის წინააღმდეგ, ხოლო სამხედრო თვალსაზრისით ყოველთვის მის მხარეზე იქნებოდა“ (Fernandez... 1994: 352).

თურქეთ-ირანის ომის დაწყების შემდეგ თურქული ჯარის წინამძღოლმა ლალა ფაშამ გადაწყვიტა სიმონი თავის მოკავშირედ ექცია, მაგრამ ამის გაკეთება ვერ შეძლო. სიმონი თავისი ჯარით, რომლის შემადგენლობაში სპარსეთის შაჰის მიერ გამოყოლებული სპარსელებიც შედიოდნენ, ლალა ფაშას მოულოდნელად თავს დაესხა და სასტიკად დაამარცხა იგი. მარკო ანტონიო აბანიოს ცნობით, ამ ბრძოლის შედეგად „15 დღეზე ნაკლები დროის განმავლობაში სიმონმა დაიბრუნა თავისი სახელმწიფოს ყველა ძირითადი მიწა, სახელდობრ: ახალდაბა, სურამი, ალი, ტუილისი, გორი და ბევრი სხვა, დაუტოვა მტერს მხოლოდ ქალაქი და ციხე-სიმაგრე თბილისი“ (Fernandez... 1994: 353).

მარკო ანტონიო აბანიოს ინფორმაციით, „ამ გამარჯვებით სიმონი იმდენად იყო დავალებული სპარსეთის შაჰი ხოდაბანდესაგან, რომ ეღიარებინა ამის მნიშვნელობა და მადლიერება, ...მან სპარსეთის შაჰს აჩუქა განჯა თავისი ტერიტორიით, რომელიც მაშინ მმართველობისათვის მიცემული ჰქონდა იმამ ყული ხანს (ალავერდი ხანის (უნდილაძის) უფროს შვილს – ო. ნ.). ახლა შაჰმა კვლავ მიიღო იგი თავის მფარველობაში და გადასცა თავის შვილს უფლისწულს ჰამზა მირზას“ (Fernandez... 1994: 353).

როგორც ცნობილია, თურქეთის წინააღმდეგ მიმართულ საომარ ოპერაციებში სიმონ მეფის აქტიური მოკავშირე 1582 წლიდან სამცხე-საათაბაგოს განმგებელი მანუჩარიც გახდა. მანუჩარმა, რომელსაც ადრე თურქეთის სულთანის გულის მოგების მიზნით მაჰმადიანობა ჰქონდა მიღებული, კვლავ გაქრისტიანდა, სიმონის ერთ-ერთი ქალიშვილი ცოლად შეირთო და მასთან ერთად დაიწყო აქტიური ბრძოლა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ამ ამბებით შეშფოთებულმა თურქთა მთავარსარდალმა ფაჰად ფაშამ სიმონ მეფეს მისი გულის მონადირების მიზნით მოტყუებით „შესთავაზა ქალაქ იერუსალიმის მმართველობა საქართველოს უფლისწულის, მისი უფროსი ვაჟიშვილისათვის, ხოლო თბილისი და ბევრი სხვა ადგილი თვითონ მისთვის, როდესაც იგი ისურვებდა დაეყარა იარაღი და გაჰყოლოდა ლაშქრობაში დიდ ბატონს“ (Fernandez... 1994: 356).

ფაჰად ფაშას მიერ შეთავაზებულ ამ წინადადებას სიმონ მეფემ „დიდი ყურადღების გარეშე უპასუხა, რომ იგი უფრო ადრე მზად იყო უარი ეთქვა სიცოცხლეზე“, ვიდრე თურქული მხარის მიერ წაყენებულ მოთხოვნას შეასრულებდა. სიმონი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ თურქეთის მხარეზე გადასვლით „პატრონიდან – მონად, გამარჯვებულიდან –

დამარცხებულად და კეთილშობილის ქრისტიანიდან საძაგელ მაჰმადიანად იქცეოდა“.

სამწუხაროდ, მოვლენების შემდგომდროინდელმა განვითარებამ სპარსეთი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო, რაც სიმონ მეფისთვისაც არასახარბიელო ვითარებას ქმნიდა. ეს დაკავშირებული აღმოჩნდა უფლისწულ ჰამზა მირზას ტრაგიკულ დაღუპვასთან. მარკო ანტონიო აბანიოს შეფასებით, „ჰამზა მირზას მოულოდნელმა სიკვდილმა საყოველთაო ზიანი მიაყენა მთელს აღმოსავლეთს. მის სიკვდილს დასტიროდა არა მარტო სპარსეთი, რომელიც დარჩა მეთაურისა და ჯარების სარდლის გარეშე, სადაც არ იყო სხვა ისეთი წონის ადამიანი, რომელსაც შეეძლო ცოდნოდა ან დამდგარიყო თურქთა საშიშროების მოშორების სათავეში. ახლანდელი შაჰი ხოდაბანდე არა მარტო ფიზიკურად ბრმა იყო ორივე თვალით, იგი ასევე ცოტას ხედავდა თავისი გონების შუქით... ამიტომ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ამიერიდან სპარსეთის ჯარი ფაქტიურად გაჰქრა“ (Fernandez... 1994: 356).

ჰამზა მირზას სიკვდილით სიმონ მეფეც ძალზე დამწუხრებული იყო, რადგან თურქთა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში მას იგი თავის საიმედო პარტნიორად მიაჩნდა. მხოლოდ მას კი იმის ძალა არ შესწევდა, თურქეთს მარტოდმარტო რომ აღდგომოდა წინ და „გადაერჩინა სახელმწიფო და ქრისტიანული რელიგია ამ მხარეში“ (Fernandez... 1994: 357).

მსგავს მდგომარეობაში ჩავარდნილმა სიმონმა დახმარებისათვის ესპანეთის მეფე ფილიპე II-ს მიმართა. ესპანეთში საგანგებო დიპლომატიური მისიით გაგზავნილი ალექსანდრე სომეხისთვის გატანებული წერილით იგი დაბეჯითებით თხოვდა ფილიპე II-ს, დაუყოვნებლივ აღმოეჩინა მისთვის პრაქტიკული დახმარება ქრისტიანული რელიგიის დაცვისა და ურწმუნოების წინაამდეგ გამართულ ბრძოლაში. სანაცვლოდ კი ჰპირდებოდა, რომ ყოველთვის, როცა საჭირო იქნებოდა, იგი ისევე ერთგულად იომებდა მისთვისაც, „როგორც ამას აკეთებდა დღემდე სპარსეთის გვირგვინისათვის“ (Fernandez... 1994: 358).

1587 წელს ირანს სათავეში ახალი შაჰი – აბას I (1587-1629) ჩაუდგა, რომელმაც აქტიურად სცადა თურქეთის წინააღმდეგ დაწყებული ომის გაგრძელება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბრძოლაში სიმონ I კვლავაც მის ერთგულ მოკავშირედ რჩებოდა, თურქეთის აგრესიული პოლიტიკის განხორციელებას სათანადო წინააღმდეგობა მათ მაინც ვერ გაუწიეს. ასე რომ, XVI საუკუნის „80-იანი წლების მეორე ნახევარში ოსმალეთი თითქმის მთელ ამიერკავკასიას დაეუფლა“ (ნარკვევები 1973: 139).

1588 წელს სპარსეთსა და ოსმალეთს შორის წინასწარი საზავო შეთანხმება შედგა. ანალოგიური შეთანხმების მიღწევა იმავე წელს ქართლსა და თურქეთს შორისაც მოხერხდა. ამ შეთანხმებით სიმონი ვალდებული იყო ოსმალეთისთვის ყოველწლიურად გადაეხადა ხარკი, რის სანაცვლოდაც ოსმალეთი სიმონ I-ს ქართლის მეფედ აღიარებდა, მის მემკვიდრეობით უფლებას ცნობდა და პირობას დებდა, რომ ქვეყნის შინაურ საქმეებში არ ჩაერეოდა (სვანიძე... 1966: 226-229).

1590 წელს შაჰ აბასი იძულებული გახდა 1588 წელს მიღწეული წინასწარი შეთანხმების საფუძველზე სტამბოლში თურქეთთან საზავო ხელშეკრულება გაეფორმებინა, რითაც საქართველოსა და ამიერკავკასიის

სხვა ტერიტორიებს ოსმალეთის სამფლობელოებად აღიარებდა და ომის გაგრძელებაზე უარს აცხადებდა.

აღნიშნულმა საზავო ხელშეკრულებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია როგორც თურქეთის მფლობელობაში გადასული სამეფო-სამთავროების მმართველებში, ისე დასავლეთ ევროპის კათოლიკური ქვეყნების სახელისუფლებო წრეებშიც. ამიტომაც „ირან-ოსმალეთის ომის გაგრძელებით დაინტერესებული დასავლეთ ევროპის ქვეყნები ზავის დადების შემდეგ შეეცადნენ ანტი-თურქული კოალიციის მოწყობას. კოალიციის გეგმაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი რუსეთს, საქართველოსა და ირანს. ეს უკანასკნელი, რომელსაც ახლა სათავეში ედგა ნიჭიერი და გამოცდილი ხელმწიფე შაჰ აბასი, ზავს უყურებდა, როგორც დროებით საშუალებას და სათანადო მომზადების შემდეგ აპირებდა დაკარგული პოზიციების აღდგენას ამიერკავკასიაში“ (ნარკვევები 1973: 146-147).

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მმართველების ეს სურვილი მთლიანად ემთხვეოდა სიმონ მეფის პოლიტიკურ გეგმებს. ეს რომ მართლაც ასეა, ამას ის მიმოწერაც ადასტურებს, რომელიც მას XVI საუკუნის 90-იან წლებში ესპანეთის მეფე ფილიპე II-სთან, რომის პაპ კლემენტ VIII-სთან და გერმანიის იმპერატორ რუდოლფ II-სთან უწარმოებია. ამ მიმოწერის ამსახველი რამდენიმე დოკუმენტი სიმანკას არქივშიც აღმოჩნდა. მეფე ფილიპე II-ისადმი 1595-596 წლებში სიმონს სომხურ, კასტილიურ და ბერძნულ ენებზე ოთხი წერილი გაუგზავნია, რომლებითაც დაბეჯითებით თხოვს, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა ესპანეთის მეფის ხელმძღვანელობით აუცილებლად შექმნან ანტითურქული კოალიცია იქვე: 361).

სიმონი ოთხივე წერილში ფილიპე II-ს იმასაც აცნობებდა, რომ აღმოსავლეთში ასეთი ანტითურქული კოალიცია უკვე იყო შექმნილი მისი, როგორც ქართლის მეფის, ალექსანდრეს, როგორც კახთა მეფისა, და შაჰ აბასის, როგორც სპარსეთის მბძანებლის, მონაწილეობით. სიმონის განცხადებით, მათ „ითათბირეს, იმსჯელეს და შეთანხმდნენ, რომ ამიერიდან თავიანთ ძალებს წინ წაწევდნენ და თურქს თავს მოსჭრიდნენ, წმიდა იერუსალიმს და ქრისტიანებს თურქის ხელიდან გაათავისუფლებდნენ“ (იქვე).

მიუხედავად ამგვარი შეთანხმებისა, სიმონი მაინც თხოვს ფილიპე II-ს, სპარსეთის შაჰს თავის მხრივ მან მაინც ურჩიოს, რომ „ერთმანეთს შორის შეთანხმებულად იყონ“. როგორც განსახილველი დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, ესპანეთის მეფე ფილიპე II უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა სიმონ I-ის ცნობას ქართველებისა და სპარსელების მიერ ანტითურქული კოალიციის შექმნის შესახებ. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით იგი სიმონს 1598 წელს გამოგზავნილ წერილში: „აღფრთოვანებული ვარ თქვენი გადაწყვეტილებით იბრძოლოთ წმიდა კათოლიკური სარწმუნოების დასაცავად... თხოვნა ძალიან ღირსეულია... საქმე, რომლის შესახებ თქვენ ითხოვთ სპარსეთის შაჰის შესახებ, უკვე გაკეთებულია“.

იმავე წლის 25 ივლისს სიმონისადმი გაგზავნილ წერილში კი ზემოთქმული თვალსაზრისი ამგვარადაა დაკონკრეტებული: „შენი სურვილი ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრჯერ შევასრულე და სპარსეთის

მეფე არაერთგზის შევაგულიანე. თუ კიდევ გახდება საჭირო, კიდევ ვიკისრებ ამ მოვალეობას.

სხვა საქმეებიც მოგვარდება, რაკი ღვთის სიყვარულით შეკავშირებულხართ მეფენი... რაც ჩემგან არის საჭირო, ყველაფერს ვიღონებ, დაწყებულ საქმეს არ ვუღალატებ, არავითარ მოვალეობაზე უკან არ დავიხევ, რომის პაპთან და უბრწყინვალეს იმპერატორთან, ჩემს ჩემს უძვირფასეს დისწულთან (იგულისხმება საღვთო რომის იმპერატორი 1576-1612 წლებში რუდოლფ II ჰაბსბურგი – ო. ნ.) ერთად ამ საქმის სასარგებლოდ“.

დასკვნა

მიუხედავად რომის პაპის – ფილიპე II-ისა და დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოთა მცდელობისა, ანტითურქული კოალიციის შექმნა იმხანად მათ ვერ შეძლეს. თუმცა სიმონს ამის გამო უკან მაინც არ დაუხევია და 1598 წელს თურქეთთან კვლავ განაახლა სამომარი ოპერაციები. სამწუხაროდ, ოსმალეთის წინააღმდეგ დაწყებული ომის ეს ეტაპი ქართველი მეფისთვის საბედისწერო აღმოჩნდა და ფარცხისთან გამართულ ბრძოლაში თურქებმა იგი ტყვედ აიყვანეს.

1600 წელს სიმონი სტამბოლში გადაიყვანეს და იქაურ ციხეში ჩასვეს. მიუხედავად სულთნის დიდი მცდელობისა, თურქებმა მისი გადაბირება მაინც ვერაფრით შეძლეს და ტყვეობაში მყოფი მეფე იქვე გარდაიცვალა. სიმონ I-ის შვილმა გიორგიმ, რომელიც მამის დატყვევების შემდეგ ქართლის მეფე გახდა, დიდძალი გამოსასყიდის ფასად სულთნისაგან მისი გვამი გამოიხსნა, მცხეთაში ჩამოასვენა და მისი მამის – ლუარსაბ I-ის გვერდით დაკრძალა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ნარკვევები 1973: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბილისი, 1973.

სვანიძე 1999: სვანიძე მ., ოსმალეთის ისტორია (XIV-XVI სს.). თბილისი, 1999.

სვანიძე... 1966: სვანიძე მ., ჯიქია ს., საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან 1588-1590 წლებში. ჟურნალი „მაცნე“, №6, 1966.

Fernandez... 1993: Fernandez L.G., Tabagua I. M., Sources for the History of Georgia in Spanish Libraries and Archives (XV-XVII Centuries). Madrid, 1993,

References and Sources

Essays 1973: Essays of the History of Georgia,Vol. IV. Tbilisi, 1973.

Fernandez... 1993: Fernandez L.G., Tabagua I. M., Sources for the History of Georgia in Spanish Libraries and Archives (XV-XVII Centuries). Madrid, 1993,

Svanidze 1999: Svanidze M., Ottoman History (14th-16th cc.), Tbilisi, 1999,

Svanidze... 1966: Svanidze M., Jikia S. From the history of Georgian-Turkish relations in 1588-1590, Journal “Matsne”, №6,1966,